

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

24 . 12 . 2015 წელი

2 ეგზ.

ქედის მუნიციპალიტეტი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 29/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	9
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	10
სახელმწიფო შესყიდვები	10
ბიუჯეტის შედგენა -შესრულება	15
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	18
ბალანსის ფორმები.....	19



დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ქედის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში შემოსულობებისა და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქედის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული აქტივებიდან, 2 382 785 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია არ არის განხორციელებული.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, საპასუხისმგებლო შენახვაზე



მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები. ამავე წესის მესამე მუხლის შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად – საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა: ა) იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ჩატარდა საანგარიშგებო წლის 1 ოქტომბრის შემდეგ; ბ) უძრავი ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ტარდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც და გ) საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც. ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 11 ნოემბრის N01-08/403 ბრძანებით, შექმნილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისია. წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ ბალანსზე რიცხული 7 457 164 ლარის ღირებულების აქტივებიდან, 2 382 785 ლარის ღირებულების აქტივების ინვენტარიზაცია არ არის განხორციელებული, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

2. მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეული ხარჯებიდან, 530 952 ლარით არ არის გაზრდილი აქტივების ღირებულება.

2014 წლის ფინანსური ანგარიშგებით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებიდან, 27 შემთხვევაში შესრულებული სამუშაოების ღირებულება 530 952 ლარი, ნაცვლად აქტივების ღირებულების გაზრდისა, მიკუთვნებულია მიმდინარე ხარჯებზე, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.

ობიექტების მიხედვით ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით

ცხრილი 2.1

ობიექტის დასახელება	მიმწოდებელი	სახელშეკრულებო ღირებულება	მიკუთვნებულია ხარჯებზე	ასახულია არაფინანსურ აქტივებში
აჭქესის ცენტრის კეთილმოწყობა	ი/მ „ვაჟა ანანიძე“	21400	21398.12	0
დანდალოს თემში საპირფარეშოს მშენებლობა	ი/მ „აბელ დიასამიძე“	1391	1390.63	0



დ.ქედის კეთილმოწყობითი სამუშაოების შესყიდვა	შ.პ.ს „ვეგა“	30999	30471.88	0
26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია	შ.პ.ს „პირამიდა 555“	41780	29279.78	0
სანიაღვრე მიწების შეძენა და ჩამიღვა	შ.პ.ს „ვეგა“	7799	7799	0
წონიარისის თემის ცენტრ.ტანკის და პიედესტ.რემონტი.	ი/მ „ელიზბარ დიასამიძე“	1000	1000	0
ტექ.ზედამხედველობის მომსახურება	ფ/პ „მურად ბოლქვაძე“	8400	8113.96	0
დ.ქედის კეთილმოწყობის სამუშაოები	შ.პ.ს „პირამიდა 555“	132000	23015.66	108984.13
სოფელ ორცვის დაკიდული ხიდის რემონტი	ი/მ „ვაჟა ანანიძე“	10288	4289.1	0
ქედის ხიდზე მოაჯირების დამატება	ი/მ „ვაჟა ანანიძე“	10288	5998.88	0
ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში 26 მაისის ქუჩის დარჩენილი ნაწილის ასფალტირება	შ.პ.ს „გზა“	18641	18097.66	0
აწკესის ცენტრის კეთილმოწყობა	შ.პ.ს „პირამიდა 555“	161500	88304.44	73038.45
ზვარის თემის ცენტრის კეთილმოწყობა	ი/მ „ვაჟა ანანიძე“	6620	791.83	0
ზვარის თემის სასოფლო გზის საყრდენი კედლის მშენებლობა	შ.პ.ს „XXI საუკუნე“	6398	4598	0
ზვარის თემის ცენტრის კეთილმოწყობა	შ.პ.ს „ვეგა“	2999	2999	0
ქედის ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია	შ.პ.ს „ლადა“	260000	259967	0
მერისის ცენტრის კეთილმოწყობა	ი/მ „რეზო ხალვაში“	2879	2877.95	0
წერეთლ.ქ.№6-ში ყოფილი რედაქციის შენობის რემონტი.	შ.პ.ს „ედოგორჯია“	4300	4300	0
დოლოგნის დაკიდული ხიდის რეაბილიტაცია	ი/მ „რეზო ხალვაში“	3000	2998.26	0
სოფ.ხრაულაში მოსაცდელის მშენებლობა	ი/მ „ვაჟა ანანიძე“	6620	2347.59	0
სოფ.ცხმორისში ნაკაშიძეების უბანში საყრდენი კედელი	ი/მ „ავთანდილ სანიკიძე“	2800	2800	0
დაბა ქედაში სასმელი წყლის სარეზერვო აუზი	შ.პ.ს „მაჯა“	123141	656.57	121260.09
დ.ქედაში აწკესის დასახლებაში სანიაღვრე არხები	შ.პ.ს „უნივერსალ ჯორჯია 2008“	394800	2250.3	402288.62
ქედის მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	შ.პ.ს „გზა“	1099900	5207.093	949125.22
სოფ.უჩხითში მოსაცდელის აშენება	შ.პ.ს „ვეგა“	6400	0	1963.14
სოფ.მახუნცეთში ცენტრ.გზის მიმდებარედ მოსაცდელის აშენება	შ.პ.ს „ვეგა“	0	0	2233.52
სოფ.ოქტომბრის თემში მოსაცდელის აშენება	შ.პ.ს „ვეგა“	0	0	2203.33
ჯამი		2365343	530952.703	1661096.5

3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის გამო, მუნიციპალიტეტის მიერ დამატებით გაწეულია 42 695 ლარის ხარჯი.

მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებით, შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯი შეადგენს 1 818 105 ლარს, მათ შორის თანამდებობრივი სარგო - 1 174 110 ლარი, პრემია - 517 700 ლარი და კომპენსაცია - 126 295 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ კომპენსაციის სახით



გაცემული თანხიდან, მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებების საფუძველზე, თანამშრომლების თანამდებობიდან განთავისუფლებისათვის, გაცემულია ორი თვის კომპენსაცია 83 599,9 ლარი, ხოლო იმის გამო, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ არ განხორციელდა საჯარო მოხელეთა გაფრთხილება, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 75 თანამშრომელზე დამატებით იქნა გაწეული 42 695 ლარის ხარჯი.

4. ხარჯების ნაწილში, შრომის ანაზღაურების მუხლში, არასწორად არის ასახული ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულების ხარჯი 1090 ლარი.

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2014 წლის 30 აპრილის N01-08/29 ბრძანების საფუძველზე, გაერთიანების მეთოდისტი, ორსულობისა და მშობიარობის გამო, 2014 წლის 30 აპრილიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით გაშვებულია ანაზღაურებად შვებულებაში და შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად გაცემულია კომპენსაცია 1090,90 ლარი. 2014 წლის ფინანსური ანგარიშგებით, ზემოაღნიშნული ხარჯი, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული სოციალური შენატანების მუხლის ნაცვლად, დაფინანსებულია შრომის ანაზღაურების მუხლით, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ 24-ე თავის მოთხოვნები.

5. საახალწლო-საშობაო ღონისძიებების ორგანიზებისათვის მისაწოდებელი ტკბილეულის რაოდენობის არასწორად გაანგარიშების და შეძენილი სათამაშოების და ნივთების გაუმიჯნაობის პირობებში, მიმწოდებელზე გადახდილია 7 136,64 ლარი.

„საახალწლო-საშობაო ღონისძიებების“ ორგანიზებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA 140029439) გამარჯვებულ პრეტენდენტ შპს „ლუკასთან“, 2014 წლის 24 დეკემბერს გაფორმებულია N201 ხელშეკრულება 10 757 ლარის ღირებულების მომსახურებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ირკვევა, რომ სატენდერო წინადადებაში და პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ დაზუსტებულ ფასების ცხრილში, ბადის ბავშვთა ტკბილეულის (შოკოლადი, პეჩენია, ნუგა და სხვა) შეძენის ჯამურ რაოდენობად მითითებულია 700 ცალი და მიწოდების ფასი განსაზღვრულია



700 ცალზე, ღირებულებით 5 352 ლარი ¹, თუმცა სახეობების მიხედვით მისაწოდებელი ტკბილეულის ჩამონათვალით, ფაქტობრივი რაოდენობა შეადგენს 29 ცალს, ღირებულებით 221,74 ლარი. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებაში ფაქტობრივად ტკბილეულის რაოდენობა მითითებულია ჯამურად 700 ცალი და გადახდილია მუნიციპალიტეტის მიერ 5 352 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში არ არის იდენტიფიცირებული 7 136,64 ლარის ² ღირებულების სათამაშოებისა და სხვა ნივთების დასახელება და რაოდენობა, რაც სატენდერო წინადადებით იყო გათვალისწინებული.

6. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის, „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, ფაქტობრივი დანახარჯების წარმოდგენლობის პირობებში, სხვა ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადახდილია მიმწოდებელზე 124 582 ლარი.

სხვა ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეული ხარჯებიდან, მუნიციპალიტეტსა და სხვადასხვა მიმწოდებლებს შორის, აუდიტის პერიოდში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებში არ არის იდენტიფიცირებული შესასრულებელი სამუშაოების დასახელება, რაოდენობა და ერთეული სამუშაოს ღირებულება, ხოლო შესრულებაში ნაჩვენები სამუშაოებისათვის გაწეული ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულება აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცრილის სახით.

ცრილი 9.1.

ობიექტის დასახელება	მიმწოდებელი	ხელშეკრულება			გადახდილია მიმწოდებელზე	არა არის იდენტიფიცირებული ფაქტობრივი ხარჯები
		N	გაფორმების დრო	ღირებულება		
სოფ. გულებში სასმელი წყლის აუზის მშენებლობა	შპს „ლუკა“	122	10.07.20104	2349	2349	2349
სოფელ კოკოტაურში და გეგელიძეებში გზის რემონტი	ინდ.მეწარმე „ავთანდილ“	99	11.06.2014	14878	17655	17655
სოფ.აგოთაში გზის რემონტი	სანიკიძე	111	20.06.2014	3224		

¹ 700*6ლარი*8%*18%=5352 ლარი.

² კონცერტისათვის სასცენო სათამაშოები და საჭირო ნივთები 400 ლარი, ნაძვის ხის მონტაჟი სათამაშოებით 1000 ლარი, ბავშვთა ტკბილეული 4 200 ლარი, სულ 5600 ლარი+8%+18%=7 136,64 ლარი.



სოფ. გობრონეთის, წონიარისის, ქვესოფელის და კოკოტაურის ტერიტორიაზე ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები	შპს „დინამიტი-ლ.დ“	28	13.02.2014	4985	4985	4985
სოფ. ზესოფელში სანიაღვრე არხის მოწყობა და გამანაწილებელი წყლის აუზის აშენება	ინდ.მეწარმე „ზვიად ჩხეიძე“	106	13.06.2014	7237	7233	7233
სოფ. წონიარისში სანიაღვრე არხის და სათავსოს აშენება	შპს „გიო 2014“	132	24.08.2014	10568	10545	10545
სოფ. ზვარეში, კვამტაში და სირაბიძეებში სასმელი წყლის სისტემის რემონტი, სანიაღვრე არხის და წყლის გამანაწილებელი აუზის მშენებლობა	შპს „XXI საუკუნე“	109	24.06.2014	19173	19173	19173
სოფ. გარეტყეში სასოფლო კლუბის და სოფ. ინაშარიძეებში გზის რემონტი	ინდ.მეწარმე „რეზო ხალვაში“	136	16.09.2014	3192	19227	19227
სოფ. ჭალახმელაში და კოლოტაურში სასმელი წყლის სისტემის აღდგენა	ინდ.მეწარმე „რეზო ხალვაში“	186	27.11.2014	16042		
მდინარე აკავრეთაზე დაზიანებული ხიდის აღდგენა	შპს „გიო 2014“	197	12.12.2014	27000	23189	23189
სოფ. ორცვაში, არსენაულში, ქედაში, ზენდიდში გზის რემონტი, ბილიკის მოწყობა, ამბულატორიის მშენებლობა	ინდ.მეწარმე „გოჩა კაკაბაძე“	97	10.06.2014	16595	16594	16594
სოფ. მერისში მოსაცდელის მშენებლობა	შპს „ვარაზა“	102	12.06.2014	2400	2398	2398
სოფ. მეძიბნაში მოსაცდელის რემონტი	შპს „თერამო“	116	25.06.2014	1234	1234	1234
	ჯამი				124582	124582

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ქედის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.



მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

სახელმწიფო შესყიდვები

- სამუშაოების ფაქტობრივად შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, შესრულების აქტებში (ფორმა N2), პროცენტის სახით, ორ შემთხვევაში³ დამატებულია და გადახდილია მიმწოდებელზე რეზერვი გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის 1862,78 ლარი.

- სახანძრო ავტოცისტერნის შესყიდვასთან დაკავშირებით, 2014 წლის 29 აპრილს გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი (SPA 140011244) 205 000 ლარის სავარაუდო ღირებულებით. შესყიდვაში მონაწილობდა ორი პრეტენდენტი, სადაც უმცირესი ფასის მქონე შპს „ბიზნეს ჯგუფი 2010“ გამოვლინდა გამარჯვებულად და 2014 წლის 3 ივნისს გაფორმებულია N90 ხელშეკრულება, 198700 ლარად ერთი ერთეული სახანძრო ავტოცისტერნის მიწოდებასთან დაკავშირებით. 2014 წლის 19 აგვისტოს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია ავტოცისტერნის მიწოდება და ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებთან შესაბამისობა, თუმცა სატენდერო დოკუმენტაციით (დანართი N3) გათვალისწინებული ტექნიკური მახასიათებლები, როგორცაა ცისტერნის ტევადობა, ტუმბოს წარმადობა, ლაფეტის ლულის წარმადობა, გაბარიტული ზომები, ქაფწარმომქნელის ტევადობა, შეწოვის სიმაღლე, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, ხანძრის ჩამქრობი აღჭურვილობა, სამაშველო აღჭურვილობა, ელექტრო აღჭურვილობა, სანიტარული აღჭურვილობა და სხვა იდენტიფიცირებული არ არის.

- მუნიციპალიტეტის მიერ, წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 11 614,7 ლარს. მათ შორის მუნიციპალიტეტში მიღებაზე, წვეულებაზე და სხვა ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების⁴ „გამასპინძლებისათვის“ გაწეულია 8 499 ლარის ხარჯი, ხოლო მიღებებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებისათვის 3 115,7 ლარის ხარჯი. ზემოაღნიშნული ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით, მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული რა სახის მომსახურებას მოიცავს სტუმრების მიღება და გამასპინძლება. შესაბამისად, არ არის გამოჯნული ერთეული მომსახურების ფასი. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების ეტაპზე წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებულია მხოლოდ სტუმართა საერთო რაოდენობა (მაგ: 30 კაცი, 40 კაცი, 80 კაცი), მაგრამ არ არის იდენტიფიცირებული მოწვეული სტუმრები

³ შპს „ვიგორას“, ხელშ N75-13.05. 2014წ- 747,83 ლარი. შპს „ალიგატორი I“ ხელშ N117 -25.06.2014წ -1114,95 ლარი.

⁴ წარმოდგენილი დოკუმენტებით დაფიქსირებულია 303 კაცი.



და ღონისძიება, რის გამოც განხორციელდა ბიჯეტიდან წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა.

- 2014 წლის 24 ოქტომბერს მუნიციპალიტეტსა და შპს „ბე-დის“ შორის გაფორმებულია N162 ხელშეკრულება, 4 ცალი პერსონალური კომპიუტერის მიწოდებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ერთეულის ფასი განისაზღვრა 777 ლარი, რაც სულ შეადგენს 3 108 ლარს. გამარტივებული შესყიდვის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის N1693 განკარგულება. აღნიშნული განკარგულებით, შემსყიდველ ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ, 2014 წელს კონსოლიდირებული ტენდერის (CON 140000021) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი (ან უკეთესი) ტექნიკური სპეციფიკაციების მქონე კომპიუტერების გამარტივებული შესყიდვით განხორციელებაზე, არაუმეტეს სტანდარტული პერსონალური კომპიუტერის სავაჭრო საწყის ფასად - 780 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ კომპიუტერის შესყიდვის ღირებულება აღებულია მთავრობის N1693 განკარგულებით განსაზღვრული ფასის შესაბამისად 777 ლარი, თუმცა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება და შემდგომში ფაქტობრივი მიწოდება სრულად არ მოიცავს კომპიუტერების იმ ტექნიკურ სპეციფიკაციებს (მატრიცის ტიპი, სიკაშკაშე, უკანა განათების სამუშაოს ციკლი, ხედვის კუთხე, plug andp plau ტექნოლოგიის მხარდაჭერა, ვიდეო პორტები და სხვა), რასაც კონსოლიდირებული ტენდერის დოკუმენტაცია ითვალისწინებდა⁵.

- მუნიციპალიტეტსა და შპს „ქედის საგზაო სამმართველოს“ შორის 2014 წლის 17 ოქტომბერს გაფორმებულია N154 ხელშეკრულება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფელ სიხალიძეების საავტომობილო გზაზე ბეტონის დაგებისათვის 44 კუბ.მ მზა ბეტონის ნარევის მ250 (B-18.5) შესყიდვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით, სასაქონლო ბეტონი მიწოდებულია 2014 წლის 17 ნოემბერს და გადახდილია 5 742 ლარი, თუმცა მიმწოდებლის მიერ ბეტონის შეძენა განხორციელებულია 2014 წლის 25 ოქტომბერს, 12 და 13 ნოემბერს, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული B-18.5 კლასის ბეტონის მიწოდება, მიმწოდებლის მიერ გაცემულ სასაქონლო ზედნადებში (0145523906) და მიღება-ჩაბარების აქტში არ არის იდენტიფიცირებული. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მასალის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მზა ბეტონის ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად მიწოდება რისკის შემცველია.

⁵ მონიტორის ფორმატი16,9; მატრიცის ტიპი; კონტრასტულობა; სიკაშკაშე; ხედვის კუთხე; ვიდეო პორტები და სხვა, ანაღვიურად სისტემური ბლოკი არ შეიცავს ტაქტური სიხშირე; გაფართოების სლოტები პორტები და სხვა.



- მუნიციპალიტეტსა და ინდ. მეწარმე „ოთარ ზაქარაძეს“ შორის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2014 წლის 13 ნოემბერს გაფორმებულია N176 ხელშეკრულება (კლასიფიკატორის კოდი N45200000), სხვადასხვა სტიქიური მოვლენების რისკის შემცირებასთან დაკავშირებით, სოფელ ცხმორისისათვის - 4 999,63 ლარი, სოფელ მერისის სკოლა-ინტერნატისათვის - 4 998,17 ლარი, სოფელ ხარაულასათვის - 5 000 ლარი და სოფელ კვაშტასათვის - 5 000,2 ლარი, სულ 19 998 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებაში არ არის იდენტიფიცირებული მისაწოდებელი მასალების დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება. აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო მასალების კომისიური წესით მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2014 წლის 18 დეკემბერს, თუმცა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი სამშენებლო მასალების (ქვიშა, ღორღი) შეძენა განხორციელებულია 2014 წლის 23 დეკემბერს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებაში მითითებული შესყიდვის კლასიფიკატორის კოდი ითვალისწინებს სამუშაოების შესრულებას. ფაქტობრივად კი შემსყიდველის მიერ განხორციელებულია მასალების შეძენა. აღნიშნულ პირობებში მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია მიმწოდებელზე 19 998 ლარი.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მუნიციპალიტეტსა და ინდ. მეწარმე „პაატა ზაქარაძეს“ შორის 2014 წლის 19 ივნისს გაფორმებულია N110 ხელშეკრულება, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულაში არხების რეაბილიტაციისა (ღირებულება 4 741,2 ლარი) და საცალფეხო ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით (ღირებულება 14 427,86 ლარი). სულ სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 19 169 ლარს. ხელშეკრულებაში არ არის იდენტიფიცირებული რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების დასახელება, რაოდენობა და ერთეული სამუშაოს ღირებულება. მხარეებს შორის 2014 წლის 25 სექტემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით (ფორმა N2) დადასტურებულია 19 169 ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულება, რომელიც გადახდილია მიმწოდებელზე 2014 წლის 7 ოქტომბერს. წარმოდგენილი დოკუმენტებით (შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი, ფორმა N2) ირკვევა, რომ არხის რეაბილიტაციისა და ხიდის მშენებლობის სამუშაოს შესრულების აქტებში ნაჩვენებია ერთი და იგივე დასახელების სამუშაოების შესრულება, როგორცაა ხიდის ბურჯზე გრძივი კოჭების მოწყობა, კედლების საძირკვლის მოწყობა მონოლითური ბეტონით, ხიდზე ლითონის მოაჯირის მოწყობა, ხიდის სავალი ნაწილის ლითონის ფილების მოწყობა და სხვა. აქვე უნდა



აღინიშნოს, რომ აღნიშნულ სამუშაოებზე ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია სამუშაოების მიღება-ჩაბარების შემდგომ პერიოდში შეძენილი მასალების სასაქონლო ზედნადები.⁶

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვით, მუნიციპალიტეტსა და შპს „იმპექს“ შორის, 2014 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებულია N169 ხელშეკრულება (SPA 140024251), სათავსოს კონტეინერის შესყიდვა - მონტაჟთან დაკავშირებით. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 12 850 ლარს. მხარეებს შორის 2014 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია სათავსო კონტეინერის მიწოდება, თუმცა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ტექნიკური მასახიათებლების (ზომა, ფანერის სახეობა, სახურავის შემადგენლობა, ჭერის შემადგენლობა, ფანჯრების რაოდენობა, ელექტროგაყვანილობის აღჭურვილობა და სხვა) შესაბამისი კონტეინერის მიწოდება მიღება-ჩაბარების აქტით ვერ დასტურდება. აღნიშნულ პირობებში მიმწოდებელზე სახელშეკრულებო ღირებულება გადახდილია სრულად.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვით, მუნიციპალიტეტსა და შპს „ვარაზას“ შორის 2014 წლის 12 ივნისს გაფორმებულია N103 ხელშეკრულება, სოფელ გარეტყესა და სოფელ გუნდაურისათვის სახნავი ჯალამბარებისათვის 67 ცალი, სამფაზა ელექტრომრიცხველების შეძენასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით, ელექტრომრიცხველები მიწოდებულია და გადახდილია მიმწოდებელზე 12652 ლარი, თუმცა შემდგომში მრიცხველების დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ ინფორმაცია (აბონენტად აღრიცხვა, ელექტოქსელში ჩართვა) მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვით, მუნიციპალიტეტსა და შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწაროს“ შორის, 2014 წლის 19 აპრილს გაფორმებულია N64 ხელშეკრულება (SPA 140009351), 3807 ლარის ღირებულების, კულტურული ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებით. იმ პირობებში, როდესაც სატენდერო წინადადება ითვალისწინებდა მონაწილეთა რაოდენობის და მარშრუტის მიხედვით ტრანსპორტირებას და კვების პროდუქტების მითითებით კვებით უზრუნველყოფას, ხელშეკრულებაში არ არის იდენტიფიცირებული მომსახურების სახეობა და შემადგენლობა, ხოლო მხარეებს შორის შედგენილი შესრულებული სამუშაოს

⁶ ზედნადები N0137384284 -29.09.2014-ღორდი, N0136866585-25.09.2014-დრელი, ბალგალკა, N0136844574-ცემენტი, 2014 წლის დეკემბრის თვის ხელფასის დარიცხვის უწყისი და სხვა.



მიღების (ფორმა N2) აქტში არ არის იდენტიფიცირებული სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების შესრულება.

- 2014 წლის 27 ნოემბერს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შპს „პოლიგრაფი 2010“-თან, N 79952100 კლასიფიკატორის კოდით, გაფორმებულია N185 ხელშეკრულება, ხარაულის საჯარო სკოლის იუბილესთან დაკავშირებული მომსახურების, წიგნის ბეჭდვის შესყიდვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ხელშეკრულებაში არ არის იდენტიფიცირებული დასაბეჭდი წიგნის რაოდენობა და სახეობა, კლასიფიკატორის კოდი არ შეესაბამება ⁷ განსახორციელებელ მომსახურებას, მიმწოდებელთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტში და ანგარიშ - ფაქტურაში (ინვოისი) არ არის იდენტიფიცირებული წიგნის რაოდენობა და სახეობა, არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული წიგნის მიწოდების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები. აღნიშნულ პირობებში, მიმწოდებელზე 2014 წლის 24 დეკემბერს გადახდილია სახელშეკრულებო ღირებულება 1 271 ლარი.

- სოფელ ვაიოს ბაგა-ბაღის რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერით (SPA140009731), შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 170 000 ლარი, ხოლო მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღე. ტენდერში გაიმარჯვა შპს „გიამ“, რომლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი იყო 134 999 ლარი. რადგან პრეტენდენტის მიერ შეთავაზებული ფასი 20%-ზე მეტით ნაკლები იყო შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებული იყო წარმოედგინა ხელშეკრულების შესრულების გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. სატენდერო კომისიის მიერ მოთხოვნილი იქნა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენა ⁸, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას. შპს „გიას“ მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა ⁹ გაცემულია 90 დღის ვადით და ძალაშია 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარებოდა

⁷ N79952100 კოდი მოიცავს კულტურული ღონისძიების ორგანიზებას.

⁸ წერილი N01-19/237, 07/05/2014 წ.

⁹ საბანკო გარანტია NFRI/14-046476, 13/05/2014 წ.



დისკვალიფიკაციას. მიუხადავად ამისა, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება¹⁰.

ხელშეკრულებით სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 14 სექტემბრამდე პერიოდი. ხელშეკრულებაში 2014 წლის 22 აგვისტოს N1 შეთანხმებით, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების შეუცვლელად,¹¹ შევიდა ცვლილებები ხარჯთაღრიცხვაში. შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა შესასრულებელი სამუშაოს შინაარსი და მოცულობები, რაც არასათანადო დაგეგმვასა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არსებით ხარვეზებზე მიუთითებს. 2014 წლის 10 სექტემბერის N2 შეთანხმებით, ხელშეკრულებაში კვლავ შევიდა ცვლილება და სამუშაოების მიწოდების ვადა გაგრძელდა ერთი თვით, 2014 წლის 12 ოქტომბრამდე, თუმცა შეთანხმება სისტემაში ატვირთულია 2014 წლის 24 სექტემბერს, რითაც დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტი.

ბიუჯეტის შედგენა -შესრულება

შემოსულობები

დაზუსტებული ბიუჯეტით, მუნიციპალიტეტის 2014 წლის შემოსულობები განისაზღვრა 9 818 181 ლარით. ფაქტობრივი შემოსულობები შეადგენს 9 838 963 ლარს (გეგმის 100,2%), მათ შორის შემოსავლები შეადგენს 9 771 678 ლარს (გეგმის 100,2%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 67 285 ლარს (გეგმის 92,17%).

შემოსავალი


დაზუსტებული ბიუჯეტით, 2014 წლის შემოსავლების გეგმა შეადგენს 9 743 181 ლარს, ფაქტობრივი საკასო შესრულება შეადგენს 9 771 678 ლარს, ანუ გეგმის 100,2%. გეგმის გადაჭარბებით შესრულების პირობებში, გრანტების ნაწილში გეგმა შესრულდა 99,88 %-ით, (გეგმა 9 095 381 ლარი, საკასო შესრულება 9 084 757 ლარი).

¹⁰ ხელშეკრულება N81, 19/05/2014 წ.

¹¹ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 134 999 ლარს



შემოსავლების საკასო შესრულება წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით



გეგმის შესრულება წარმოდგენილი ცხრილის სახით

დასახელება	2014 წლის დაზუსტებული გეგმა	2014 წლის საკასო შესრულება	სხვაობა გეგმა- საკასო
შემოსულობები	9 818.181	9 838.963	-20.782
შემოსავლები	9 743.181	9 771.678	-28.497
არაფინანსური აქტივების კლება	75.000	67.285	7.715
შემოსავლები	9 743.181	9 771.678	-28.497
გადასახადები	210.000	228.757	-18.757
ქონების გადასახადი	210.000	228.757	-18.757
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	181.000	182.976	-1.976
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.300	0.999	-0.699
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	0.700	2.187	-1.487
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	28.000	42.596	-14.596
გრანტები	9 095.381	9 084.757	10.624
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	135.235	135.235	0.000
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	8 960.146	8 949.522	10.624
გათანაბრებითი ტრანსფერი	3 594.500	3 594.500	0.000
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4 778.748	4 778.543	0.205
სპეციალური ტრანსფერი	586.898	576.479	10.419
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	32.000	32.000	0.000
მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	554.898	544.479	10.419
სხვა შემოსავლები	437.800	458.164	-20.363
შემოსავლები საკუთრებიდან	207.100	206.926	0.174
პროცენტები	117.000	113.473	3.527
რენტა	90.100	93.453	-3.353
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	90.000	93.404	-3.404
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0.100	0.050	0.050
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	35.700	41.155	-5.455
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	24.200	26.545	-2.345
სანებართვო მოსაკრებელი	1.200	1.171	0.029



ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	23.000	25.374	-2.374
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	11.500	14.610	-3.110
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	11.500	14.610	-3.110
ჯარიმები, სანქციები და საურავები	60.000	70.182	-10.182
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	135.000	139.901	-4.901
არაფინანსური აქტივების კლება	75.000	67.285	7.715
ძირითადი აქტივები	65.000	64.733	0.267
არაწარმოებული აქტივები	10.000	2.552	7.448
მიწა	10.000	2.552	7.448

გაწეული ხარჯი

მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წელს გაწეულია 9 850 211 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის:

- **შრომის ანაზღაურება** - 1 818 105 ლარი (გეგმის 99,37%) მათ შორის თანამდებობრივი სარგო - 1 174 110 ლარი, პრემია - 517 700 ლარი, კომპენსაცია - 126 295 ლარი. თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებით გაცემული პრემია შეადგენს 65,6 %-ს, ხოლო კომპენსაცია 10.75 %-ს.

- **საქონელი და მომსახურება** - 574 563 ლარი (გეგმის 85,11%), მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 17 106 ლარი, მივლინება - 12 727 ლარი, ოფისის ხარჯები - 149 721 ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯები - 11 616 ლარი, ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯები -114 543 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 268 850 ლარი.

- **სუბსიდია** - 2 103 614 ლარი (გეგმის 96,25%). აღნიშნული მუხლით ძირითადად ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები


- **სოციალური უზრუნველყოფა** - 474 393 ლარი (გეგმის 96,74%). აღნიშნული მუხლით, მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამების შესაბამისად, დაფინანსებულია სოციალური დახმარებები.

- **სხვა ხარჯები** -1 649 265 ლარი (გეგმის 90,16%). აღნიშნული მუხლით დაფინანსებულია სხვადასხვა სახის ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების, სკოლების და სხვა ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები.

- **არაფინანსური აქტივების ცვლილება** -3 230 272 ლარი (გეგმის 92,83%).



ხარჯების საკასო შესრულება წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით:



მოთხოვნები

მუნიციპალიტეტის აპარატის საბალანსო მონაცემებით, 2014 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 18 766 ლარის მოთხოვნები, მათ შორის შპს „ნინისა“- 17 416 ლარი, ფ/პ თამაზ დიასამიძე - 950 ლარი და ფ/პ დავით თურმანიძე - 400 ლარი. დავალიანებები წარმოშობილია 2004 წელს და 2009 წელს.

ვალდებულებები

მუნიციპალიტეტის აპარატის საბალანსო მონაცემებით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხება 32 478,56 ლარის ვალდებულებები. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანება შემცირებულია და შეადგენს 478,5 ლარს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

უფროსი აუდიტორი/ჯგუფის ხელმძღვანელი/  ნადიმ ბოლქვაძე

უფროსი აუდიტორი/ჯგუფის წევრი/

 ჰენრი სანიკიძე

24.12. 2015წ.



აუდიტის დეპარტამენტი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ბალანსის ფორმები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა N 1

ორგანიზაციის ბ ა ლ ა ნ ს ი

ორგანიზაციის დასახელება

ქედის მუნიციპალიტეტი

ჩაბარების ვადა

15.02.2015წ.

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2014 წლის IV კვარტალი





აუდიტის დეპარტამენტი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ადი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის ოასანაოსისათვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოსათვის
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერიით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430		
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	1479	1350
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	17416	17416
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610		
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620	276352	280351
390	შენიშნული-ნაგებობები	2110	4624260	5470041
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	366492	523492
410	სხვა მირითადი აქტივები	2130	18363	18363
420	დაუმთავრებელი მშენებლობა	2140	0	989210
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	177138	170549
440	ფასეულობები	2300		
450	არაწარმოებული აქტივები	2400	5159	5159
	ბალანსი		5486659	7475931



აუდიტის დეპარტამენტი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისის თვის	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	32479	478
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
490	ვალდებულებები ხარტებით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
520	გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი	3243		
530	სხვა გადასახდელები	3244		
540	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
550	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
560	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
570	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
580	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		
590	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
600	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
610	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
620	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
630	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
640	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
650	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
660	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
670	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	4648	3631
680	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300		
II. კაპიტალი				
690	წმინდა ღირებულება	5100	5449532	7471822
700	საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
710	გაუნაწილებელი მოგება	5220		
720	დაუფარავი ზარალი	5230		
ბალანსი			5486659	7475931
III. საცნობარო მუხლები				
730	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
740	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
750	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	03		
760	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04		
770	პირობითი მოთხოვნები	05		
780	პირობითი ვალდებულებები	06		
790	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
800	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08		
810	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09		
820	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10		

ორგანიზაციის ხელმძღვანელი: _____

მთავარი ბუღალტერი: _____

ბ.ა.



აუდიტის დეპარტამენტი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ბალანსის დანართი ფორმა N2

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ორგანიზაციის დასახელება ქვედის მუნიციპალიტეტი

კოდი 246762061

პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2014 წლის IV კვარტალი

ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დასტურებული ზეგა	დაზუსტებული ზეგა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	4830029	4830029	4519358	4519358	4519358	4711159.43	191801.43
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	1829540	1829540	1818105	1818105	1818105	1818105	0
030	1.1.1 ხელფასები	211	1829540	1829540	1818105	1818105	1818105	1818105	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	1829540	1829540	1818105	1818105	1818105	1818105	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სასაწყობო	21111	1651545	1651545	1174110	1174110	1174110	1174110	0
060	1.1.1.1.2 წიგნები	21112							0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	51700	51700	51700	51700	51700	51700	0
080	1.1.1.1.4 დანამტი	21114							0
090	1.1.1.1.5 პენსია	21115							0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	126295	126295	126295	126295	126295	126295	0
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							0
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	0	0	0	0	0	0	0
130	1.1.2.1 ფაქტობრივად გამოირიცხებული სოციალური შენატანები	2121							0
140	1.1.2.2 პირთაგან გამოირიცხებული სოციალური შენატანები	2122							0
150	1.2 საჭირო და მომსახურება	22	675050	675050	574564	574564	574564	574564	0
160	1.2.1 მატერიალური მომსახურება	221	19110	19110	17188	17188	17188	17188	0
170	1.2.1.1 მფლობელების	222	16650	16650	12727	12727	12727	12727	0
180	1.2.1.2 სახლის ხარჯები	223	153680	153680	149640	149640	149640	149640	0
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	12000	12000	11616	11616	11616	11616	0
200	1.2.1.5 კვების ხარჯები	225							0
210	1.2.1.6 სახელობრივი ხარჯები	226							0



220	1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და ტექნიკის შეძენის და პირადი საკუთრების დაკავშირებული ხარჯები	227							0
230	1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის შესაძენი და მოვლა შენატანების ხარჯები	228	130770	130770	114543	114543	114543	114543	0
240	1.2.1.9 საშენი, ტექნიკისა და ტექნიკური შენატანების ხარჯები	229							0
250	1.2.1.10 სხვა დანართი საჭირო და მომსახურება	2210	342840	342840	268850	268850	268850	268850	0
260	1.3 პირთაგან გამოირიცხებული მომსახურება	23						191801.43	191801.43
270	1.4 პირთაგან	24	0	0	0	0	0	0	0
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებები	241	0	0	0	0	0	0	0
290	1.4.1.1 ორმოცი კრედიტორები	2411							0
300	1.4.1.2 მრავალწლიანი კრედიტორები	2412							0
310	1.4.1.3 კომერციული ორგანიზაციები	2413							0
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებები	2414							0
330	1.4.2 საშენი ვალდებულებები გარე სახელმწიფო ერთეულებისა	242							0
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული საშენი ვალდებულებები	243							0
350	1.5 ხელმოქმედება	25	5900	5900	5832	5832	5832	5832	0
360	1.6 გრანტები	26	0	0	0	0	0	0	0
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მიერ	261	0	0	0	0	0	0	0
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							0
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							0
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებისგან	262	0	0	0	0	0	0	0
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							0
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							0
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	0	0	0	0	0	0	0
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							0
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							0
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	490168	490168	474393	474393	474393	474393	0
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	0	0	0	0	0	0	0
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							0
490	1.7.1.2 სასაქონლო ფორმით	2712							0
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	490168	490168	474393	474393	474393	474393	0
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	490168	490168	474393	474393	474393	474393	0
520	1.7.2.2 სასაქონლო ფორმით	2722							0
530	1.7.3 დასაქმებულთა მცირე გრძელვადიანი სოციალური დახმარება	273	0	0	0	0	0	0	0





აუდიტის დეპარტამენტი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

540	1.7.3.1 დედადამსახურება	2731						0
550	1.7.3.2 სასაქონლო ფორმით	2732						0
560	1.8 სხვა ხარჯები	28	1829371	1829371	1646464	1646464	1646464	0
570	1.8.1 ქონებათა დაცემარეგულირებადი ხარჯები, გარდა პროცენტებისა	281	0	0	0	0	0	0
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811						0
590	1.8.1.2 ცხრილი კონსოლიდირების შესაძლებლობაზე ამოღებული თანხები	2812						0
600	1.8.1.3 ქონებათა დაცემარეგულირებადი ხარჯები, რომლებიც საფარველია პირობების შეცვლისთვის	2813						0
610	1.8.1.4 რეგულაციები	2814						0
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	1829371	1829371	1646464	1646464	1646464	0
630	1.8.2.1 მომდინარე	2821	1829371	1829371	1646464	1646464	1646464	0
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822						0
650								0

მონაცემები მუდმივი და მუდგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ

მ. ა. გ. ე. ნ. ე. ლ. ა. დ. ა. ს. ა. ზ. ე. ლ. ა.	საბუღალტრო ბიუჯეტი		არასაბუღალტრო	
	წლიური გეგმა	ფაქტობრივი	წლიური გეგმა	ფაქტობრივი
1. მუდმივი მომუშავეთა რიცხოვნობა	107	107		
2. მუდგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	11	11		

- ფაქტობრივი დასაქმებული პირთა რიცხოვნობა გათვალისწინებულია საბუღალტრო ბიუჯეტის შემადგენლობაში. თვეების მიხედვით დასაქმებული პირთა საშუალო რაოდენობით (განგარიშით) პერიოდის განმავლობაში დასაქმებული პირთა რიცხოვნობის დასაქმებული პირთა საშუალო რაოდენობის განგარიშით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

ზ.ა.



ბალანსის დანართი ფორმა N2-1

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკანო ობიექტების შესახებ

ორგანიზაციის დასახელება ქედის მუნიციპალიტეტი

კოდი 246762061

პერიოდული: წლიური, კვარტალური

2014 წლის IV კვარტალი


ზომის ერთეული: ლარი

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დაბეჭდილი გეგმა	ფაქტობრივი გეგმა	გადახდილი	მოთხოვნა	გადახდა (ნაკასი ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	23456003	23456003	3009154.75	3009154.75	3009154.75
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	23108805	23108805	2670773.29	2670773.29	2670773.29
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	22745305	22745305	2336102.49	2336102.49	2336102.49
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არსებობენ რეზიდენციები	31112	298205	298205	297417.51	297417.51	297417.51
060	1.1.1.3 სხვა ნაგებობები	31113	22447100	22447100	2038684.98	2038684.98	2038684.98
070	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	363500	363500	334670.8	334670.8	334670.8
080	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	217100	217100	210800	210800	210800
090	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	146400	146400	123870.8	123870.8	123870.8
100	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	0	0	0	0	0
110	1.1.3.1 კულტურული აქტივები	31131					
120	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
130	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
140	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
170	1.2 მატერიალური მარაგები	312	347198	347198	338381.46	338381.46	338381.46
180	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
190	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122	347198	347198	338381.46	338381.46	338381.46
200	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221	347198	347198	338381.46	338381.46	338381.46
210	1.2.2.2 დამზადებული ნაწარმი	31222					
220	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
230	1.2.2.4 შედეგები რეალიზაციისათვის შეტანილი საქონელი	31224					
270	1.3 ფასეულობები	313	0	0	0	0	0
310	1.4 არაფინანსური აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 ფასილადი	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143	0	0	0	0	0
350	1.4.3.1 რადიონიშნობილი სატელევიზიო სიხშირის ლიცენზია	31431					
360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
370	1.4.4 არაფინანსური არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:


მთავარი ბუღალტერი:

ზ.ა.



ზომის ერთეული: ლარი

8.5.Page 24 of 25



ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მთავარი ბუღალტერი:

B.S.

